



ეკონომიკა

საბანკო სექტორი: კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხების ზრდის ტემპი 8.4%-მდე დაჩქარდა 2023 წლის ივნისში, წინა თვის 6.1%-იანი ზრდის შემდეგ და საკრედიტო პორტფელმა 47.3 მლრდ ლარი შეადგინა. ამასთან, გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით, ივნისში სესხების პორტფელი წლიურად 13.5%-ით გაიზარდა, წინა თვის 12.8%-იანი ზრდის შემდეგ. სექტორების მიხედვით, კორპორატიული დაკრედიტების წლიური ზრდის ტემპი 12.0%-მდე დაჩქარდა (+10.3% მაისში), ხოლო საცალო დაკრედიტების წლიური ზრდა, მცირედით, 14.7%-მდე შენედა (+15.0% მაისში); აქედან, იპოთეკური სესხების პორტფელის წლიურმა ზრდამ, წინა თვის მსგავსად, 11.8% შეადგინა. 2023 წლის ივნისში სესხების დოლარიზაციამ 45.0% შეადგინა (-3.34პპ წ/წ და +0.54პპ თ/თ), ხოლო უმოქმედო სესხები 1.7%-ს გაუტოლდა (-0.17პპ წ/წ და -0.10პპ თ/თ).

2023 წლის ივნისში საბანკო სექტორში განთავსებული დეპოზიტები წლიურად 29.2%-ით გაიზარდა (კურსის ეფექტის გამორიცხვით) და 46.8 მლრდ ლარი შეადგინა, წინა თვის 31.2%-იანი ზრდის შემდეგ. ვალუტების მიხედვით, ივნისში ლარის დეპოზიტები წლიურად 43.1%-ით გაიზარდა (+44.8% მაისში), ხოლო უცხოური ვალუტის დეპოზიტების წლიური ზრდა 19.1%-მდე შენედა (+21.3% მაისში). შედეგად, ივნისში დეპოზიტების დოლარიზაციამ 50.8% შეადგინა (-7.16პპ წ/წ და +0.28პპ თ/თ).

ტურიზმი: 2023 წლის II კვარტალში საერთაშორისო ვიზიტორები (ჯამურად ტურისტული და ერთდღიანი ვიზიტები) საქართველოში წლიურად 58.7%-ით გაიზარდა და 1.5 მლნ მოგზაური შეადგინა. აღნიშნული ზრდა ძირითადად ტურისტული ვიზიტების 44.8%-იანმა ზრდამ განაპირობა (დაახ. 74% მთლიან ვიზიტებში), რასაც მოჰყვება ერთდღიანი ვიზიტები (+119.0% წ/წ). ყველაზე მეტი ვიზიტორი შემოვიდა თურქეთიდან (25.0% წილი ჯამურ ვიზიტებში), რუსეთიდან (21.9% წილი) და სომხეთიდან (14.7% წილი). ვიზიტორთა უმრავლესობა საქართველოში შემოვიდა საავტომობილო ტრანსპორტით (68.9%-იანი წილი), რასაც მოსდევს საჰაერო გზით შემოსვლა (30.4%-იანი წილი). ჯამურად, 2023 წლის I ნახევარში საქართველომ 2.5 მლნ მოგზაურს უმასპინძლა, საიდანაც ტურისტული ვიზიტები იყო 1.9 მლნ (2019 წლის I ნახევრის 90.8%), ხოლო ერთდღიანმა ვიზიტებმა 0.6 მლნ შეადგინა (2019 წლის I ნახევრის 54.3%, რაც ძირითადად აზერბაიჯანის იერ ჩაკეტილი საზღვრით იხსნება).

სებ-მა ივნისში რეზერვები შეავსო


სებ-მა 2023 წლის ივნისში 137.6 მლნ აშშ დოლარი შეისყიდა BMatch პლატფორმის საშუალებით, თუმცა ასევე მოუხდა 17.1 მლნ აშშ დოლარის გაყიდვა სავალუტო აუქციონზე. ჯამურად, 2023 წლის პირველ ნახევარში, სებ-ის წმინდა შესყიდვამ 1.06 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა.

ეკონომიკური ინდიკატორები


	2021	2022
რეალური მშპ-ს ზრდა	10.5%	10.1%
მშპ ერთ სულზე (ppp)	16,997	20,244
მშპ ერთ სულზე (აშშ \$)	5,023	6,672
მოსახლეობა (მლნ)	3.7	3.7
ინფლაცია, პერიოდის ბოლო	13.9%	9.8%
საერთ. რეზერვები (მლრდ აშშ \$)	4.3	4.9
მიმდ. ანგარ. დეფიციტი (მშპ-ს %)	10.4%	4.0%
ფისკალური დეფიციტი (მშპ-ს %)	6.1%	3.1%
სახელმწიფო ვალი (მშპ-ს %)	49.7%	39.8%
Fitch/S&P/Moody's*	BB/BB/Ba2	

წყარო: ოფიციალური მონაცემები, სარეიტინგო სააგენტოები, გალტ & თაგარტი
*უახლესი საკრედიტო რეიტინგები

საბანკო სესხების ზრდა (გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით)



სებ-ის წმინდა სავალუტო შესყიდვები





ფულადი ბაზარი

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ობლიგაციები: საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ 2023 წლის 25 ივლისს 5-წლიანი 90 მლნ ლარის (34.6 მლნ აშშ დოლარის) ოდენობის ბენჩმარკ ბონდები გაყიდა. ამასთან, მოთხოვნა 2.3-ჯერ მაღალი იყო, ხოლო საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი წინა აუქციონთან შედარებით 0.0783პპ-ით შემცირდა და 8.381% შეადგინა.


უახლესი აუქციონი დაგეგმილია 2023 წლის 1 აგვისტოს, სადაც 6-თვიანი 20 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების სახაზინო ვალდებულებები და 2-წლიანი 40 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების ბენჩმარკ ობლიგაციები გაიყიდება.

სახაზინო ფასიანი ქაღალდები, 2023 წელი

ვალიანობა	გამოშვება წლის დასაწყისიდან მლნ ლარი	დარჩენილი გამოშვება მლნ ლარი	დარჩენილი ვალდებულება მლნ ლარი*
6-თვე	140	100	
1-წელი	140	100	420
2-წელი	299	200	
5-წელი	672	450	7,021
10-წელი	445	575	
სულ	1,696	1,425	7,441


წყარო: ფინანსთა სამინისტრო
* 2023 წლის ივლისის მდგომარეობით

სახაზინო ფასიანი ქაღალდების შემოსავლიანობის მრუდი




წყარო: სებ

განხორციელებული ემისია და მოთხოვნა სახაზინო ფასიანი ქაღალდების ბოლო აუქციონებზე, მლნ ლარი




წყარო: სებ

მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი, წლიური ინფლაცია და ლარის გაცვლითი კურსი



წყარო: სებ, საქსტატი

ნომინალური და რეალური ეფექტური გაცვლითი კურსები



წყარო: სებ
შენიშვნა: ინდექსის ზრდა/კლება ნიშნავს გაცვლითი კურსის გამყარებას/გაუფასურებას




ობლიგაციები

კორპორატიული ვერობლიგაციები: საქართველოს კაპიტალის ვერობლიგაციებით (GEOCAP) ვაჭრობა დაიხურა ფასით 99.45 (+0.52% წინა კვირასთან შედარებით), 7.06%-იანი შემოსავლიანობით.

საქართველოს რკინიგზის ვერობლიგაცია (GRAIL) ივაჭრებოდა 86.75 ფასად (+0.14% წინა კვირასთან შედარებით), 7.27%-იანი შემოსავლიანობით.

საქართველოს სუვერენული ვერობლიგაცია (GEORG) დაიხურა ფასით 90.53 (+0.24% წინა კვირასთან შედარებით), 6.60%-იანი შემოსავლიანობით.

ვერობლიგაციები (შემოსავლიანობა)



წყარო: Bloomberg

ქართული ობლიგაციების ძირითადი მონაცემები

ვერობლიგაციები

გამომშვები	ვალუტა	მოცულობა, მლნ აშშ \$	კუპონი	დაფარვის თარიღი	რეიტინგები (Fitch/S&P/Moody /Scope)	საშუალო ფასი	საშუალო პროცენტი, %	Z-spread, bps
GEORG 04/26	USD	500	2.750%	Apr-26	BB/BB/Ba2	90.53	6.60	210.61
GRAIL 06/28	USD	500	4.000%	Jun-28	BB-/BB-/-	86.75	7.27	324.74
GEBGG 11 1/8 PERP	USD	100	11.125%	n/a	B-/-/-	99.11	10.27	673.23
GEOCAP 03/24	USD	300	6.125%	Mar-24	-/B+/B1	99.45	7.06	156.74
SILKNET 01/27	USD	300	8.375%	Jan-27	B+/-/B1	98.51	8.88	456.75
TBC 06/24	USD	300	5.750%	Jun-24	BB-/Ba2	99.19	6.69	125.67
TBC PERP	USD	125	10.775%	n/a	B-/-/-	97.08	13.42	823.25

წყარო: Bloomberg



ობლიგაციები

ადგილობრივი ობლიგაციები


გამომშვები	ვალუტა	მოცულობა, მლნ	კუპონი	დაფარვის თარიღი	რეიტინგები (Fitch/S&P/Moody/Scope)	საშუალო ფასი	საშუალო პროცენტი, %	Z-spread, bps
Bakhvi Hydro Power	USD	1.2	9.40%	Nov-27	-/-/-	n/a	n/a	n/a
Energy Development Georgia	USD	10	8.50%	Jun-25	-/-/-	n/a	n/a	n/a
Evex Hospitals	GEL	50	Ref rate + 3.10%	Nov-24	-/-/-/BB	n/a	n/a	n/a
Geo. Beer Company	GEL	25	Ref rate + 4.00%	Dec-23	-/-/-/BB-	n/a	n/a	n/a
Georgia Real Estate	USD	35	8.50%	Oct-24	-/-/-	99.98	8.50	n/a
Geo. Renewable Power Oper.	USD	80	7.00%	Oct-27	-/-/-	99.99	7.00	n/a
Geosteel	USD	15	9.00%	Apr-25	-/-/-	100.00	9.00	n/a
IG Development	USD	15	6.75%	Jan-24	-/-/-	100.06	6.63	n/a
IG Development	USD	15	8.50%	Jul-24	-/-/-	99.75	8.65	n/a
Lisi Lake Development	USD	12	6.50%	Dec-24	-/-/-/B+	99.65	6.75	n/a
Lisi Lake Development	USD	10	8.50%	Dec-24	-/-/-/B+	100.00	8.50	n/a
MFO Crystal	GEL	25	TIBR6M + 4.75%	Feb-25	B-/-/-	n/a	n/a	n/a
MFO MBC	GEL	15	TIBR3M + 4.50%	Dec-24	-/-/-/B+	n/a	n/a	n/a
MFO Rico Express	GEL	130	TIBR1D + 2.00%	Mar-26	-/-/-/B+	n/a	n/a	n/a
Nikora	GEL	35	TIBR3M + 3.50%	Nov-25	-/-/-/B+	n/a	n/a	n/a
Nikora Trade	GEL	35	TIBR3M + 3.50%	Nov-24	-/-/-/B+	n/a	n/a	n/a
SRG Real Estate	USD	20	9.00%	Apr-26	-/-/-	100.01	9.00	n/a
TBC Leasing	GEL	100	TIBR3M + 3.00%	Mar-26	BB/-/-	n/a	n/a	n/a
TBC Leasing	GEL	15	TIBR3M + 2.75%	Jun-26	BB/-/-	n/a	n/a	n/a
Tegeta Motors	GEL	150	TIBR3M + 3.50%	Dec-25	-/-/-/BB-	n/a	n/a	n/a
Tegeta Motors	USD	20	8.50%	Apr-25	-/-/-/BB-	99.58	8.75	n/a
Tegeta Motors	EUR	5	7.00%	Apr-25	-/-/-/BB-	99.58	7.25	n/a
Tegeta Motors	GEL	20	TIBR6M + 3.50%	Dec-25	-/-/-/BB-	n/a	n/a	n/a

წყარო: Bloomberg



აქციები

საქართველოს ბანკის ჯგუფი (BGEO LN)




წყარო: Bloomberg

საქართველოს ბანკის ჯგუფის

(BGEO LN) აქციები დაიხურა 32.10 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), +1.10% წინა კვირასთან შედარებით და +1.90% გასულ თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 266 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 31.40 - 33.20 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 55 ათასი აქცია შეადგინა.

თიბისი ბანკის ჯგუფი (TBCG LN)




წყარო: Bloomberg

თიბისი ბანკის ჯგუფის (TBCG LN)

აქციები დაიხურა 24.90 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), -0.80% წინა კვირასთან შედარებით და -1.19% გასულ თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 72 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 24.55 - 25.60 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 26 ათასი აქცია შეადგინა.

საქართველოს კაპიტალი (CGEO LN)



წყარო: Bloomberg

Georgia Capital-ის (CGEO LN)

აქციები დაიხურა 9.25 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), +3.01% წინა კვირასთან შედარებით და +10.38% გასულ თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 164 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 8.95 - 9.27 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 20 ათასი აქცია შეადგინა.



აქციები

აღმოსავლეთ ევროპის ბანკები

	ტიკერი	ვალუტა	აქციის ფასი	კაპიტ ალიზ.	6 თვე, ცვლ.	წ/წ ცვლ.	წლის დას.	P/E			P/B		
								2022	2023F	2024F	2022	2023F	2024F
Bank of Georgia	BGEO	GBP	32.10	1,474	19.6%	122.9%	23.2%	2.74x	4.59x	4.29x	0.90x	0.91x	0.78x
TBC	TBC	GBP	24.90	1,373	5.5%	85.3%	9.7%	4.10x	4.55x	3.98x	1.04x	1.02x	0.87x
Halyk Bank	HSBK	USD	14.50	3,954	36.0%	53.6%	30.6%	2.69x	2.82x	2.52x	0.78x	0.76x	0.64x
Akbank	AKBNK	TRY	28.56	148,512	71.5%	235.6%	46.1%	1.40x	2.85x	3.02x	0.55x	0.75x	0.68x
Garanti	GARAN	TRY	42.76	179,592	79.5%	191.1%	42.3%	1.91x	2.97x	3.33x	0.73x	0.96x	0.79x
Isbank	ISCTR	TRY	15.05	150,500	38.2%	193.4%	17.9%	0.84x	2.94x	2.66x	0.60x	0.69x	0.56x
PKO	PKO	PLN	40.52	50,650	25.8%	58.1%	33.8%	10.98x	8.07x	7.79x	1.03x	1.19x	1.10x
PEKAO	PEO	PLN	118.05	30,985	29.0%	64.4%	36.5%	na	6.27x	7.20x	na	1.13x	1.06x
Millennium	MIL	PLN	6.60	8,006	37.9%	87.5%	44.1%	na	2.57x	3.52x	1.04x	1.22x	1.06x
Mbank	MBK	PLN	477.00	20,256	50.3%	126.7%	61.1%	na	4.56x	5.94x	1.10x	1.30x	1.13x
BRD	BRD	RON	14.12	9,840	3.4%	9.5%	8.6%	6.81x	6.57x	7.04x	1.31x	1.20x	1.16x
Banca Transilvania	TLV	RON	20.70	16,532	16.2%	16.8%	17.3%	na	7.07x	6.77x	1.60x	1.45x	1.30x
Komercni	KOMB	CZK	709.00	134,745	-2.2%	14.2%	8.2%	8.36x	8.88x	9.03x	1.21x	1.05x	0.99x
Mean								4.42x	4.98x	5.16x	0.99x	1.05x	0.93x
Median								2.74x	4.56x	4.29x	1.04x	1.05x	0.99x

წყარო: Bloomberg, S&P Capital IQ

ინვესტიციების მართვის შესადარი კომპანიები

	ტიკერი	ვალუტა	აქციის ფასი	კაპიტ ალიზ.	6 თვე, ცვლ.	წ/წ ცვლ.	წლის დას.	P/E			P/B		
								2022	2023F	2024F	2022	2023F	2024F
Georgia Capital	CGEO	GBP	9.25	405	22.5%	47.5%	26.7%	na	na	na	0.38x	na	na
Tinc Comm	TINC	EUR	12.40	451	0.0%	-6.5%	-0.8%	18.33x	na	na	0.99x	na	na
Sabancı Holding	SAHOL	TRY	57.75	117,833	44.7%	195.9%	28.1%	1.77x	3.48x	2.97x	0.77x	0.68x	0.57x
Deutsche Beteiligungs	DBAN	EUR	30.50	574	2.5%	10.7%	9.3%	na	5.34x	5.42x	1.00x	0.86x	0.76x
Eurazeo	RF	EUR	56.30	4,460	-14.0%	-17.4%	-3.1%	8.89x	11.20x	7.59x	0.78x	0.57x	0.52x
Carlyle Group	CG	USD	35.19	12,743	-0.7%	-6.2%	17.9%	8.50x	12.05x	8.50x	1.70x	3.37x	2.36x
Wendel SE	MF	EUR	90.25	4,008	-9.5%	2.1%	3.5%	6.63x	7.36x	7.26x	na	1.24x	1.12x
HgCapital Trust	HGT	GBP	3.86	1,767	4.9%	1.3%	10.1%	na	na	na	na	na	na
NB Private Equity Partners	NBPE	GBP	15.60	680	-3.4%	-1.0%	-2.5%	na	na	na	na	na	na
Oakley Capital Investments	OCI	GBP	4.48	795	-1.4%	4.3%	6.7%	na	na	na	na	na	na
Princess Private Equity	PEY	EUR	10.35	716	12.0%	-8.4%	22.6%	na	na	na	0.65x	na	na
Symphony International Holding	SIHL	USD	0.41	211	-7.8%	-12.6%	-8.3%	na	na	na	0.47x	na	na
Mean								8.82x	7.88x	6.35x	0.84x	1.34x	1.06x
Median								8.50x	7.36x	7.26x	0.78x	0.86x	0.76x

წყარო: Bloomberg, S&P Capital IQ



მნიშვნელოვანი შეტყობინება

ეს დოკუმენტი არის სს "გალტ ენდ თაგარტი" ("Galt & Taggart"), რომელიც არის სს საქართველოს ბანკის ჯგუფის ("ჯგუფი") წევრი, საკუთრება და მომზადებულია Galt & Taggart-ის მიერ, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებლად. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმეს ნაწილს და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შეთავაზება ან კლიენტების მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის, ან გამოწვევისთვის და ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საუქმველს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

გალტ ენდ თაგარტი უფლებამოსილია აწარმოოს პროფესიონალური აქტივობა საქართველოს ბაზარზე. ამ დოკუმენტის ცირკულირება გარკვეული იურისდიქციების ფარგლებში შეიძლება აკრძალული იყოს კანონით. პირებს, რომელთა მფლობელობაშიც ეს დოკუმენტი აღმოჩნდება, გალტ ენდ თაგარტისგან მოეთხოვებათ დაიცვან ყველა ის შეზღუდვა, რომელიც მოქმედებს მათ მიმართ. ეს დოკუმენტი არ არის განზრახული გავრცელებისთვის, ირრდაპირ ან ირიბად, ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციის მიერ, რომელიც არის რაიმე ადგილის, სახელმწიფოს ან სხვა რაიმე იურისდიქციის მკვიდრი ან მოქალაქე, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება კანონის ან რეგულაციის საწინააღმდეგო იქნებოდა ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციის ფარგლებში.

ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარებად ბაზრებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყეობასთან და შეიძლება არ იყოს ყველასთვის შესაფერისი. ამ დოკუმენტის მიმღებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიერნაირად სწორად, მათ საკუთარ ამოცანებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით. ამ პროცესში ამგვარი მიმღები პირები დარწმუნებული უნდა იყვნენ თავიანთ ქმედებებში, როცა ახორციელებენ რისკების შეფასებას, რომლებიც დამახასიათებელია განვითარებად ბაზრებზე ინვესტიციებისთვის, მათ შორის პოტენციური პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა, სხვა პოლიტიკური რისკები, კერძოდ, ცვლილებები კანონებში და ტარიფებში, აქტივების ნაციონალიზაცია და ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი.

გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების, ან რომელიმე სხვა პირის მიერ არ მომხდარა რაიმე რწმუნების, გარანტიის ან ვალდებულების წარდგენა ან აღება, აშკარად გამოხატულის ან ნაგულისხმევის, და ამ დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია მასში არსებული ინფორმაციის უტყუარობაზე, სისწორეზე და ამომწურავობაზე (და იმაზე, რომ რაიმე ინფორმაცია არ არის გამოტოვებული ან დოკუმენტიდან) და არ შეიძლება მასზე დაყრდნობა. ეს დოკუმენტი არ უნდა განხილულაოდეს, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარსულის ან მომავლის მიმართ, გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების მხრიდან. დოკუმენტის მიმღებებს მოეთხოვებათ ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება ამ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტორის პირადი შეხედულებით. კანონის თანახმად, გალტ ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრი ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩევლები ან აგენტები პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმენაირად უკავშირდებოდეს ამ დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე.

ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და გალტ ენდ თაგარტს არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. ამ დოკუმენტის მიწოდება არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ არ მომხდარა ინფორმაციის ცვლილება ამ დოკუმენტის თარიღის შემდგომ ან იმ თარიღის შემდგომ, როდესაც ეს დოკუმენტი უკანასკნელად განახლდა, ან რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია უტყუარია რაიმე პერიოდისთვის იმ თარიღის შემდეგ, როდესაც მისი მიწოდება მოხდა, ან, თუ განსხვავებულია, ამ დოკუმენტში მითითებული თარიღის შემდეგ. გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების მიერ არ გაკეთდა რაიმე რწმუნება ან გარანტია, აშკარად გამოხატული ან ნაგულისხმევი ამ ინფორმაციის სისწორესთან და ამომწურავობასთან დაკავშირებით.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო გამოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ გალტ ენდ თაგარტის შიდა კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია შესაძლებელია მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ და კეთილსინდისიერად, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე. შესაძლებელია მხარის პუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად აჩვენებს, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამომწურავობის გარანტია. შესაბამისად, არ შეიძლება დაყრდნობა ნებისმიერ იმ მონაცემზე, რომელიც მოცემულია ამ დოკუმენტში. არც გალტ ენდ თაგარტი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩევლები ან აგენტები არ გასცემენ რაიმე რწმუნებას ან გარანტიას, აშკარად გამოხატულს ან ნაგულისხმევეს, ამ დოკუმენტის სარგებლობაზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში, ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში.

გალტ ენდ თაგარტს და ჯგუფის ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნეს-ურთიერთობის დამყარებას კომპანიებთან, რომლებიც მოცულნი არიან ამ კვლევაში. შედეგად, ინვესტირებმა უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე.

ამ დოკუმენტის ან მისი ნებისმიერი ნაწილის უნებართვო კოპირება, გავრცელება, პუბლიკაცია ან განმეორებითი გადაცემა რაიმე მდელით ან რაიმე ფორმით ნებისმიერი მიზნისთვის მკაცრად აკრძალულია.

ამ დოკუმენტის მიმღები პირები პასუხისმგებელი არიან ვირუსების და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან დაცვაზე. ელექტრონული გადაცემის მიღება ხდება მიმღები პირის საკუთარი რისკის ხარჯზე და წარმოადგენს მის პასუხისმგებლობას, მიიღოს ზომები, რომ ვირუსებისგან და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან უზრუნველყოს დაცვა.

გალტ ენდ თაგარტი
მისამართი: პუშკინის ქუჩა 3ა, თბილისი, 0105, საქართველო
ტელ: + (995) 32 2401 111
ელ. ფოსტა: researcht@gt.ge